ცვლილებები ძალაშია 16.05.2023-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატება:

1. შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 2^2 მუხლის 1-ლი, მე-9 და მე-10 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ონლაინ იდენტიფიკაცია:

1.1. ბიომეტრიული იდენტიფიკაცია - პირის დისტანციური იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია, რომელიც გულისხმობს სახის ამოცნობის (Face recognition) სისტემის გამოყენებით, ე.წ. "Liveness" შემოწმებას და სელფის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოებში სახის ბიომეტრიულ შედარებას.

9. კლიენტისთვის ცნობილია და თანახმაა, რომ ბანკი, იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამუშავებს მის პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის ბიომეტრიულ მონაცემებს). აღნიშნული პროცესი მოიცავს:

- ბიომეტრიული იდენტიფიკაციის დროს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით კლიენტისა და მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოების/სელფის გადაღებას, სახის ბიომეტრიულ შედარებას და ვიდეო დავალების შესრულებას.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის შემოწმებას და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით ვერიფიკაციას.

10. კლიენტისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, რომ ონლაინ იდენტიფიკაციის პროცესში მიმდინარეობს მისი მონაცემების დამუშავება, ვიდეოს, ფოტოების სქრინშოტების გადაღება. აღნიშნულ ფოტოებს/სქრინშოტებს/ვიდეო ჩანაწერს ბანკი შეინახავს კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი ვადით. კლიენტის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს მომსახურების გამწევი მესამე პირებისთვის (Identomat Inc), რომლის პროგრამულ უზრუნველყოფასაც იყენებს ბანკი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის“.